



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 75
28/11/2019

75-09-4-201911281915



თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ
გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ სანიორეში მდებარე 2009 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.15.37.086) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ სანივთო უფლებებთან (სარგებლობა და შეზღუდული სარგებლობა) ერთად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

